



პოლიტიკური პარტიები



პროექტი თანადაფინანსებულია პოლონურ-ამერიკული თავისუფლების ფონდის მიერ, RITA – რეგიონი გარდამავალ პერიოდში პროგრამის ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ფონდი განათლება დემოკრატიისათვის.

✕ ● „ერთად კავკასიენდისტვის“ ●

ფერი: ფორთოხლისფერი სლოგანი: „ერთად გადაწყვიტოთ კავკასიენდისტვის ბედი“

კავკასიენდისტვის უდიდესი პარტია. აერთიანებს ცენტრისტული და მემარცხენე შეხედულებების მქონე წევრებს. დაარსებულია პოპულარული ქართველი ბიზნესმენის მიერ რომელმაც მილიონები სამშენებლო მასალების ბიზნესში იშოვა. მათი მთავარი პოლიტიკური მიზანია რომ კავკასიენდისტვის მოქალაქეებმა ერთად მართონ სახელმწიფო და ერთად მიიღონ გადაწყვეტილებები მისი ბედის შესახებ. ეს კი უნდა განხორციელდეს ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში კანონის უზენაესობის და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპების დანერგვით.

ეკონომიკური თვალსაზრისით ისინი ცენტრისტული პოზიციებით გამოირჩევიან - მათ სჯერათ თავისუფალი ბაზრის რეისნის კანონების თუმცა აცხადებენ რომ მოსახლეობისათვის რიგი სოციალური დახმარებების გაწევას აპირებენ (სახელმწიფოს მხარდაჭერა მოსახლეობის უღარიბესი ფენისათვის). ეს პარტია აქცენტს აკეთებს ინდივიდუალური მეწარმეობის განვითარებაზე და სახელმწიფო საწარმოების აუჩქარებელ პრივატიზაციაზე. თუმცადა მათ ამჟამინდელი პანდემიის პირობებში არ სურთ რომ ეკონომიკა და ქვეყანა ტურისტებისათვის უცბად გაიხსნას - ამაში ისინი საფრთხეს ხედავენ მთელი სახელმწიფო სისტემის შემდგომი ფუნქციონირებისათვის. აღნიშნული პარტია ზომიერად პროეკოლოგიურია თუმცა ამ სფეროში ცვლილებებს ისინი უფრო როგორც ევოლუციას ისე განიხილავენ ვიდრე როგორც რევოლუციას - ისინი აცხადებენ რომ ქვეყანა ნელ-ნელა უნდა გადავიდეს ენერჯის განახლებად წყაროებზე და ამ ფაქტორმა ქვეყანა საზღვარგარეთული ენერჯიმპორტისგან უნდა გაათავისუფლოს.

„ერთად კავკასიენდისტვის“ მოზომილი მიდგომების მქონე პარტიაა რიგ საზოგადოებრივ საკითხებთან მიმართებაში როგორებიცაა - ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისგან დამოუკიდებლობა, ჰომოსექსუალთა ქორწინება, ქალთა სისტემური დისკრიმინაცია. ისინი ამ საკითხებში არსებული სტატუს-კვოს შენარჩუნებას უჭერენ მხარს და ამ თემებზე მკვეთრ მოსაზრებებს არ გამოხატავენ.



„გაერთიანებული მოქალაქეები“



ფერი: ლურჯი

სლოგანი: „ისევ ერთიანი კავკასლენდი“

ეს მეორე უდიდესი პარტიაა კავკასლენდში. მასში გაერთიანებული არიან ქვეყნის წინა მთავრობის მინისტრები. ეს პარტია შეიძლება დავახასიათოთ როგორც ცენტრისტულ-მემარჯვენე. ისინი დიდ აქცენტს აკეთებენ „ნატო“-სთან ინტეგრაციაზე და ევროკავშირში გაწევრიანებაზე. მათი პროგრამის მნიშვნელოვან პოსტულატს წარმოადგენს აგრეთვე „მანდარინლენდის“ ხელახალი შემოერთება რომელმაც სამოქალაქო ომის შედეგად დამოუკიდებლობა გამოაცხადა.

ამ პარტიას ღრმად სჯერა ძლიერი და თავისუფალი ბაზრის რომელმაც განვითარებული სახელმწიფო დოტაციებისა და სოციალური დახმარებების გარეშე უნდა იფუნქციონეროს. ისინი ამბობენ რომ აუცილებელია ძლიერი ეროვნული ეკონომიკის შექმნა და ენერგეტიკული დამოუკიდებლობის მოპოვება რაც კავკასლენდის პოზიციებს მთელ რეგიონში გააძლიერებს. პანდემიის პირობებში მათ სურთ რომ ქვეყანა რაც შეიძლება სწრაფად გაიხსნას უცხოელი ტურისტებისათვის რადგანაც ეს ბევრ ადგილობრივ თემს კრიზისიდან გამოსვლის საშუალებას მისცემს. პარტია არ გამოხატავს პოზიციას კლიმატის დაცვისა და განახლებადი ენერჯის წყაროების საკითხებში.

მიუხედავად ეკონომიკისა და კლიმატის საკითხებში არსებული კონსერვატიული შეხედულებებისა „გაერთიანებული მოქალაქეები“ ბრძოლას უცხადებენ დისკრიმინაციას და აცხადებენ რომ სკოლებში სქესობრივი განათლების საგანს შეიტანენ. ეს პარტია ნაკლებად მემარცხენეა პოლიტიკაში ეკლესიის მონაწილეობასთან დაკავშირებულ საკითხებში თუმცა ბევრი ანალიტიკოსი მიუთითებს რომ ამ პარტიის ზოგიერთი დამფინანსებელი ეკლესიის მაღალი იერარქია.





● კავკასიის პატრიოტიზმი ●

ფერი: შავი

სლოგანი: „ყველაფერი ხალხისათვის!“

ყველაზე მემარჯვენე პარტია კავკასიის რეგიონში. თავიანთ პროგრამაში ხას უსვამენ ანტიდასავლურ იდეებს, აქედან გამომდინარე მხოლოდ ნაწილობრივ უჭერენ მხარს კავკასიის რეგიონისა და ვეროკავშირის ღრა ინტეგრაციას. სულ ბოლო პერიოდში ტელევიზიის ეკრანზე გამოჩნდა პარტია „კავკასიის პატრიოტების“ ლიდერი რომელმაც დედაქალაქის ერთ-ერთი მეჩეთის წინ ანტიისლამური პლაკატებით პიკეტი მოაწყო. ეს პარტია წინააღმდეგობას უწევს ნებისმიერი უცხოელი მუშახელის ქვეყანაში შემოსვლას.

პარტიის წევრები ხაზს უსვამენ თავიანთ ერთგულებას თავისუფალი ბაზრის პრინციპებისადმი მაგრამ ამავე დროს მხარს უჭერენ ქვეყნის მოახლეობის უღარიბესი ფენის სოციალურ მხარდაჭერას. ეროვნულ ექსპორტთან მიმართებაში არჩევენ რომ ქვეყანამ რუსეთთან უფრო ივაჭროს ვიდრე ამერიკის შეერთებულ შტატებთან ან ვეროკავშირთან. თავიანთ პროგრამაში არ აქვთ არანაირი პოსტულატები ენერგეტიკულ დამოუკიდებლობასთან ან განახლებადი ენერჯის წყაროების მხარდაჭერასთან დაკავშირებით.

საზოგადოებრივ საქმეებში ეს პარტია მართლმადიდებლური ეკლესიის იდეებს ეყრდნობა. ისინი აცხადებენ რომ სასულიერო პირებს სკოლებსა და კლინიკებში მსახურებისათვის ანაზღაურება უნდა მიეცეთ, ღიად ეწინააღმდეგებიან სკოლებში სქესობრივი განათლების გაკვეთილების დაწყებას, ასევე ეწინააღმდეგებიან კანონპროექტებს სადაც ქალთა და მამაკაცთა თანასწორობაზე და ჰომოსექსუალთა ქორწინებაზე აქცენტი გაკეთებული. აღნიშნული პარტია თვლის რომ მართლმადიდებლური კანონები უფრო მაღლა უნდა იდგეს ვიდრე სახელმწიფო კანონმდებლობა.





● „მწვანე კავკასი“ ●

ფერი: მწვანე
სლოგანი: „გადავარჩინოთ ჩვენი პლანეტა!“

ერთადერთი პარტია კავკასიანულ რეგიონში გამოკვეთილად მემარცხენე პროგრამა აქვს. უკვე მრავალი წელია ისინი პარლამენტში ყველაზე მცირე ფრაქციას წარმოადგენენ თუმცა ბოლო ხანებში მათი პოპულარობა ყველაზე ახალგაზრდა ამომრჩევლებს შორის შესამჩნევად გაიზარდა. პარტიის დამაარსებელია მასწავლებელი ქალი ერთ-ერთი პატარა პროვინციული ქალაქიდან რომელიც განათლების სისტემის რეფორმის პროცესში სამსახურიდან იქნა განთავისუფლებული.

პარტიას სურს ისეთი საგადასახადო სისტემის შემოღება რომელიც კავკასიანულ რეგიონში ადამიანებს კიდევ უფრო მეტ გადასახადს დააკისრებს - ყველაზე ნაკლების შემოსავლის მქონეებს კი პირიქით შეუმცირებს გადასახადებს. ეს პარტია აცხადებს რომ გააუმჯობესებს უფასო სამედიცინო მომსახურების ხარისხს და უფასო უმაღლეს განათლებას შემოიღებენ ყველა სათვის. ამან მათი აზრით კავკასიანულ რეგიონში შობადობა უნდა გაზარდოს და საზღვარგარეთ ახალგაზრდების მასობრივი მიგრაცია უნდა შეაჩეროს.

პარტია მტკიცედ არწმუნებს მოქალაქეებს რომ აუცილებელია კავკასიანულ რეგიონში გაწვევრიანება და რომ კავკასიანული დასავლური ცივილიზაციის ნაწილია. გამომდინარე აქედან, მათი აზრით აუცილებელია რომ ნაბიჯ-ნაბიჯ მიღებულ იქნას კანონმდებლობა რომელიც დისკრიმინაციისგან დაიცავს ყველას (მაგალითად: ჰომოსექსუალ წყვილებს). დასავლეთი ამ პარტიისთვის ნიშნავს მწვანე ენერჯის კავკასიანულ რეგიონში რაც ქვეყნისთვის სრული ენერჯეტიკული დამოუკიდებლობის საფუძველი გახდება და ეს ქვეყანას დაიცავს მისი არაპროგნოზირებადი რუსი მეზობლისაგან. პარტია ეწინააღმდეგება მართლმადიდებლური ეკლესიის მზარდ როლს კავკასიანულ რეგიონში და ისინი აღიარებენ ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების პრინციპს.





„სისტემის მიღმა“



ფერი: იისფერი
სლოგანი: „ჩვენ არ მოგატყუებთ!“

მოძრაობა რომელიც დააარსეს დილის ტელეგადაცემის ვარსკვლავმა, მზარეულმა და კომიკოსმა. ეს უკანასკნელი დღემდე წინააღმდეგია რომ მათ მოძრაობას „პარტია“ უწოდონ. მოძრაობას ძლიერი სტრუქტურები გააჩნია კავკასიურულში, აქვს ოფისები ყოველ მცირე ქალაქშიც კი. მოძრაობის ძირითადი მხარდამჭერები მცირე მეწარმეები და ტაქსის მძღოლები არიან რომლებიც საპროტესტო ტალღაზე შეუერთდნენ ქვემოდან მომავალ ინიციატივას.

„სისტემის მიღმა“-ს პარლამენტში ოფიციალური წარმომადგენლობა არ გააჩნია თუმცა რამდენიმე დეპუტატი ამ მოძრაობის მიმართ სიმპათიითა განწყობილი. მოძრაობის ინტერნეტ-გვერდებზე ან მისი ლიდერების ინტერვიუებში რთული დასაბახია კონკრეტული მოსაზრებები ქვეყნის ფუნქციონირების თაობაზე. ძირითადად ისინი საყვედურობენ ამჟამინდელ ხელისუფლებას და „ვითომ“ ოპოზიციას, ძირითადად მათგან ისმის მოწოდებები გაფიცვებისა და სამოქალაქო დაუმორჩილებლობის შესახებ. მოძრაობა „სისტემის მიღმა“ ყოველ კვირას აორგანიზებს მრავალათასიან პიკეტებს კავკასიურულში პარლამენტთან რომელთა დროსაც პიკეტის მონაწილეები პარლამენტის კედლებს ესვრიან პამიდვრებს და თვითნაკეთ თოჯინებს რომლებიც ამჟამინდელი მთავრობის მინისტრების გარეგნობა აქვთ.

მხოლოდ და მხოლოდ ფეისბუქზე ან ტვიტერზე გაკეთებულ ზოგიერთ კომენტარში შეიძლება აღმოვაჩინოთ მოძრაობის გარკვეული იდეები როგორებიცაა მაგალითად: ნებაყოფლობითი საგადასახადო დაბეგვრა, ნებაყოფლობითი აცრები ბავშვებისათვის (იძულების გარეშე), საზღვრების ჩაკეტვა ტურისტებისთვის. „სისტემის მიღმა“-ს ყველა ლიდერი აცხადებს რომ მათ სადეპუტატო ხელფასს საქველმოქმედო მიზნებისთვის გაიღებენ და მხოლოდ და მხოლოდ მოხალისეობრივ საწყისებზე იმუშავებენ.

